

გოდერძი ჩოხელი



ფრაველი გამახანე

კლასი V

ტექსტის ტიპი – მხატვრული (თხრობითი)


მხატვარი: ზურაბ სულაკაური

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.

გოდერძი ჩოხელი

ფშაველი გამახარე





ცოლ-შვილი სულის მზესავით მიელის ქალაქში წამო-
სულ გამახარეს.

გამახარე დახლში ჩამდგარა და ყველ-ერბოს ყიდის.
არც იქით იხედება და არც – აქეთ. ეშინია, ჯიბგირებმა
გუდა არ მოსტაცონ.

– ვა, ვა, ვა, რა აქლემებია! – იძახის ვიღაც გამახარეს
გასაგონად. მაგრამ გამახარემ იცის, რომ ეს მის მოსა-
ტყუებლად არის ნათქვამი და უფრო ფრთხილობს,
თვალს არ აშორებს გუდებს.

– ოხ, ოხ, ოხ, რა მეწველ ძროხას ყიდის ბაზრის ბო-
ლოში ერთი კაცი! – იძახის მეორე ისევ გამახარეს გასა-
გონად.

– ძროხა არაფერი, შენ ის ფშაველი თუ ნახე, დუქნის
იქით რომ გდია მკვდარი? – ამბობს ის პირველი.

– ვნახე, მაშა, არც პატრონი ჰყავს, არც მიმხედავი.

გამახარემ იცის, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და
გუდებს უფრო ახლოს აწყობს ერთმანეთთან.

— ვა, ვა, ვა, ვა, ეს რა მომხდარა გაიგეთ?! — ყვირის ერთი.

— რა, რა მოხდა?

— რა და, ფშავის მთები წამოქცეულან!

— მთები?! — უცებ ავარდა გამახარე.

— ხო, მთები.

— ი, რას ამბობ, მთებს რაღა წამააქცევდა?!

— ეს რა მოხდა, კაცოო, ეს რა მოხდა!

— ი, მართლა ამბობ? — შემფოთდა გამახარე.

— თუ არა გჯერა, წამო, გაიხედე. აგე, დიღმის მინდორზე ყრიან თავპირჩამოშლილები.

გამახარე დახლიდან გავარდა და იმ კაცს გაჰყვა. იმ კაცმა იქითკენ წაიყვანა, იქიდან უფრო კარგა ჩანანო.

— აგე, ხო ხედავ.

— სადა, კაცო?!



– აგე, დიღმის მინდორზე არა ყრიან! ვა, ვა, ვა, რა ლა-
მაზებია ეს ტივლები!

– ვაი ჩემს თოლებს და ბნელი! განა კარგა ვხედავ,
სადა, სად არიან? – შეშფოთებულია გამახარე და ხელს
იჩრდილებს თვალებზე. ვერაფერს ვერ ხედავს. – სად
არიან, სად?! – კითხულობს, მაგრამ პასუხს აღარავინ
აძლევს.

გამახარე შემობრუნდა. ის კაცი აქ აღარ არის. დახლი-
საკენ გაიქცევა და ყველერბოიანი გუდებიც რომ აღარ
დახვდება იქ, ერთს ამოიოხრებს მწარედ.

მერე გამახარე ფშავის გზაზე მიდის. იმ მთის გულმ-
კერდზე ბეპრის საფარტენესავით ჰკიდია ძველებური
სოფელი, სადაც ბანზე გადმომდგარი ცოლ-შვილი სუ-
ლის მზესავით მოელის გამახარეს.

გამახარე კი ფშავის ცადაზიდულ მთებს შეჰყურებს
და ხმამალლა ამბობს:

– კიდევ კარგი, რო ფეხზე დგანან!
ღამდება.

მზე იწურება ფშავის მთებში.

